



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პამტკიცება“

აუდიტის დეპარტამენტის დასახელება
დეპარტამენტის უფროსი
[Signature] ნოე ქაშიბაძე

11 აპრილი 2019 წელი

N 31136

ეგზ.: N1

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ფინანსური აუდიტი

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
ზოგადი ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	5
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები	6
1.2.1 საქონელი და მომსახურება (ხარჯები)	6
1.2.2 მატერიალური მარაგები	6
1.2.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	7
2. სხვა გარემოებები	8
2.1 ბუღალტრული აღრიცხვის სხვა ნაკლოვანებები	8
2.2 სხვა ხარჯების აღრიცხვის ნაკლოვანებები	11
2.3 ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ხარვეზები	11
2.4 სამივლინებო დოკუმენტაციასა და აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებები	11
2.5 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ხარვეზები	12
2.6 შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	13
2.7 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა	13
3. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	15
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	15
5. დანართები - უმაღლესი საბჭოს (01 01) ბალანსი.....	18

ტერმინთა განმარტება

აფხაზეთის ა/რ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;

უმაღლესი საბჭო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;


ფინანსური ანგარიშგება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ზოგადი ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- 1) აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ჩართულობის ხარისხის ამაღლება;
- 2) აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- 3) დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში დევნილი მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- 4) ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწა მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

დიაგრამა N1: უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურა



ცხრილი N1: უმაღლესი საბჭოს 2018 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარი)

დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი (1)	დაზუსტებული ბიუჯეტი (2)	საკასო ხარჯი (3)	დარიცხული ხარჯი (4)	სხვაობა დაზუსტ. დამტკიც.	შესრულება % (3/2)
სულ:	1,933,000	1,994,000	1,979,205.4	1,972,622.2	61,000	99.3
ხარჯები	1,922,900	1,981,710	1,972,311.4	1,971,243.4	58,810	99.5
მათ შორის:						
შრომის ანაზღაურება	1,407,000	1,430,510	1,429,145.3	1,429,145.3	23,510	99.9
საქონელი და მომსახურება	494,740	539,250	531,561.4	529,391.4	44,510	98.6
სოციალური უზრუნველყოფა	5,160	6,150	6,143.6	6,143.6	990	99.9
სხვა ხარჯები	16,000	5,800	5,461.1	6,563.1	-10,200	94.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,100	12,290	6,894.0	1,378.8	2,190	56.1

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის (პროგრამული კოდი: 01 01) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს უმაღლესი საბჭოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

¹ ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 364.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 საქონელი და მომსახურება (ხარჯები)

ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-სა და დანართ ფორმა N5-ში წარმოდგენილია 2,744.84 ლარის მატერიალური მარაგების ნაშთი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მარაგები ფაქტობრივად არ არის გაცემული/ჩამოწერილი და ინახება ნაშთის სახით, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N2-სა და N3-ში წარმოდგენილია, როგორც ფაქტობრივი ხარჯი. შესაბამისად, აღნიშნულ ფორმებში „საქონელი და მომსახურების ფაქტობრივი ხარჯების“² მუხლი 2,744.84 ლარით არის გაზრდილი;

აუდიტის პერიოდში არასწორად აღიარებული 1,336.82 ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივის ხარჯებში ჩამოწერასთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა N5-ში არასწორად (ორჯერ) მოხდა ხარჯების გატარება. კერძოდ, პირველად მოხდა ძირითადი აქტივებიდან არასაოპერაციო ხარჯებად აღიარება, ხოლო მეორედ, ჯერ დაფიქსირდა უკვე ხარჯებში ჩამოწერილი აქტივის გრძელვადიან მცირეფასიან აქტივად მიღება (აღიარება) და შემდგომ – ისევ ხარჯებში ჩამოწერა.³ ამავდროულად, აღნიშნული აქტივის არასაოპერაციო ხარჯებად აღიარების მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N3-ში მისი აღრიცხვა არ მომხდარა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N3-ში ხარჯები არასწორადაა შემცირებული 1,336.82 ლარით, ხოლო დანართ ფორმა N5-ში კი, პირიქით – არასწორადაა გაზრდილი 1,336.82 ლარით.

1.2.2 მატერიალური მარაგები

სინთეზური აღრიცხვის დოკუმენტების (მემორიალური ორდერების) მიხედვით, მატერიალური მარაგების ანგარიშზე (N1626 – „სათადარიგო ნაწილები“) მოძრაობა არ ფიქსირდება, თუმცა ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N5-ში აღრიცხულია 14,774.58 ლარის სათადარიგო ნაწილების მიღება და გასვლა. გამოვლინდა, რომ სათადარიგო ნაწილების შეძენასთან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მათი მონტაჟის თანხაც. იქიდან გამომდინარე, რომ მარაგების მიღება ფაქტობრივად არ ხდებოდა და ოპერაცია წარმოადგენდა მომსახურებას, ზემოაღნიშნული უნდა აღიარებულიყო ხარჯად და არ უნდა აღრიცხულიყო როგორც მატერიალური მარაგი.⁴ შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N5-ში 14,774.58 ლარის მატერიალური მარაგების მიღება და გასვლა ასახულია არასწორად (ზედმეტად);

² „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 20. პუნქტი 8.

³ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 23. პუნქტი 13.

⁴ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანება, მუხლი 36. პუნქტი 3.

ჟ) ფინანსური ანგარიშგების N04 „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ ანგარიშზე არ ფიქსირდება ექსპლუატაციაში მყოფი 2,819.51 ლარის მატერიალური მარაგების საბოლოო ნაშთი.⁵ შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლი წარმოდგენილია 2,819.51 ლარით ნაკლები თანხით.

1.2.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ძირითად აქტივებზე დარიცხული ცვეთის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ორ შემთხვევაში ავტომატურად ცვეთის თანხა გაანგარიშებულია არა პირველადი საბალანსო, არამედ წინა წლის ნარჩენი ღირებულებიდან. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ღირებულება არასწორადაა გაზრდილი 1,466.92 ლარით⁶.

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველზე წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს საფინანსო სამსახურის მიერ დაშვებული შეცდომებისა და არასწორი ბუღალტრული გატარებების გამო, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების და საცნობარო მუხლების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სრული და უტყუარი⁷.

აუდიტს წარემართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-2999) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს, დეტალურადაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

⁵ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 40, პუნქტი 5.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 3. პუნქტი 1.

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტები.

2. სხვა გარემოებები

2.1 ბუღალტრული აღრიცხვის სხვა ნაკლოვანებები

ბუღალტრული დოკუმენტაციის (მემორიალური ორდერებისა და პირველადი დოკუმენტაციის) შესწავლის შედეგად გამოვლინდა რიგი შეუსაბამოებები, როგორც ფინანსური ანგარიშგებისა და საბაზინო/საკასო მონაცემებთან შედარებით, ასევე მემორიალური ორდერების მონაცემებით წარმოდგენილი ინფორმაციის კუთხით. კერძოდ, მემორიალურ ორდერებში ფინანსური ანგარიშების სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების ბრუნვის ნაშთები უმეტესწილად არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ არც ბალანსის მუხლების ნაშთებს და არც ხარჯვითი მუხლების ბრუნვის ნაშთებს (იხ. ცხრილი N1, N2 ქვემოთ). მემორიალურ ორდერებში წარმოდგენილი გადახრები არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არაზუსტად და არასრულად განხორციელებული ბუღალტრული გატარებები ფინანსურ აღრიცხვაში არაეფექტურ/არასათანადო კონტროლზე მიუთითებს. ასევე კონტროლის მნიშვნელოვან სისუსტეებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ უმაღლესი საბჭოს ბალანსზე ირიცხება ბუღალტრული პროგრამა, რომელიც მართალია განახლდა, მაგრამ მასში ინფორმაცია შეტანილ იქნა მხოლოდ ნაწილობრივ და დღემდე იგი არასრულად გამოიყენება.

ავტომატიზებული სისტემის გამოუყენებლობა, შესაბამისად, არაზუსტად და არასრულად განხორციელებული ბუღალტრული აღრიცხვა მიუთითებს ფინანსური ანგარიშგების არასწორად და არასრულად წარდგენის რისკებზე.

ცხრილი N2: ბალანსის და მემორიალური ორდერების მონაცემებს შორის არსებული სხვაობები

ანგარიში	დასახელება	მემორიალი			ფინანსური ანგარიშგება
		დებეტი	კრედიტი	ცვლილება/ნაშთი	ცვლილება/ნაშთი
1250	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1,979,205.4	1,979,394.4	-189.0	-
1440	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	-	1,202.0	-1202.0	-1202.0
1462	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	-	-	-	2170.0
1470	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	-	-	-	100.0
1627	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	5,630.7	3,932.3	1698.4	2744.8
2112	არასაცხოვრებელი შენობები	-	9,141.5	-9141.5	-9141.5
2121	სატრანსპორტო საშუალებები	26,000.0	49,033.5	-23033.5	-23033.5
2122	სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი	6,894.0	7,831.4	-937.4	-687.6
2132	არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	-	-60.0
2226	ინვენტარი	714.8	714.8	-	-
2227	ინვენტარი	4,072.2	3,883.2	189.0	-

ფინანსური აუდიტის ანგარიში

3210	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	6,000.0	1,900.0	4100.0	-
3243	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	307,619.0	307,494.0	125.0	-
3251	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	1,430,310.8	1,430,672.6	-361.8	-
3252	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	190,825.5	189,553.7	1271.8	-
3253	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	915.0	915.0	-	-
3254	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	83,470.5	81,400.5	2070.0	-
3255	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	6,143.6	6,143.6	-	-
3257	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	57,804.5	57,814.5	-10.0	-
4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1,979,205.4	1,979,205.4	-	-
5100	წმინდა ღირებულება	2,039,519.8	2,005,706.4	33813.4	-29109.8

ცხრილი N3: ხარჯების და მემორიალური ორდერების მონაცემებს შორის არსებული სხვაობები

ანგარიში	დასახელება	მემორიალი			ფინანსური ანგარიშგება		
		დებეტი	კრედიტი	ცვლილება/ ნაშთი	საკასო	დარიცხული	ცვლილება/ ნაშთი
7110	ხელფასები	78,213.2	-	78,213.2	1,429,145.3	1,429,145.3	-
7111	ხელფასები ფულადი ფორმით	1,430,672.6	1,429,145.3	1,527.3	1,429,145.3	1,429,145.3	-
7210	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	111,340.5	191,081.0	-79,740.5	191,081.0	191,081.0	-
7220	მივლინება	82,315.5	84,385.5	-2,070.0	84,385.5	82,215.5	-2,170.0
7230	ოფისის ხარჯები	49,653.6	50,441.0	-787.4	50,441.0	50,441.0	-
7240	წარმომადგენლობითი ხარჯები	77,274.1	77,274.1	-	77,274.1	77,274.1	-
7270	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	123,053.9	118,297.2	4,756.7	118,297.2	118,297.2	-
7290	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	4,547.8	10,082.8	-5,535.0	10,082.8	10,082.8	-
7310	ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა	64,669.6	64,669.6	-	-	64,479.8	64,479.8
7730	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	6,143.6	6,143.6	-	6,143.6	6,143.6	-
7813	ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	-	4,756.7	-4,756.7	-	1,202.0	1,202.0
7821	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	704.4	704.4	-	5,461.1	5,361.1	-100.0

2.2 სხვა ხარჯების აღრიცხვის ნაკლოვანებები

წარმოდგენილი ბუღალტრული მონაცემების (მემორიალური ორდერების) შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. „სხვა ხარჯების“ მუხლით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ქონებასთან დაკავშირებული 1,202.00 ლარის ფაქტობრივი ხარჯი⁸ მემორიალური ორდერების ხარჯების ანგარიშების⁹ მოძრაობაში საერთოდ არ ფიქსირდება.
2. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 5,461.14 ლარის „სხვა დანარჩენი ხარჯი“, ხოლო მემორიალურ ორდერებში 4,756.70 ლარი (დაზღვევის თანხა) „სხვა დანარჩენი ხარჯის“ ნაცვლად შეცდომითაა გატარებული „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯების“ მუხლში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „სხვა ხარჯების“ მუხლების მონაცემები შეუსაბამოა ბუღალტრული მონაცემებით (მემორიალური ორდერებში) წარმოდგენილ ინფორმაციასთან. აღნიშნული გამოწვეულია უმაღლესი საბჭოს საფინანსო სამსახურის მიერ მემორიალურ ორდერებში შეცდომით განხორციელებული ბუღალტრული გატარებებით, რაც მიუთითებს ფინანსურ აღრიცხვაში არსებულ ხარვეზებზე.

2.3 ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ხარვეზები

სახელმწიფო შესყიდვებისას გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს საქონელი და მომსახურების მიღების დადასტურებას მიღება-ჩაბარების აქტით. უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესწავლით გამოვლინდა, რომ 103 ხელშეკრულებიდან 63 შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულია.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების არასათანდოდ განხორციელებული კონტროლი წარმოშობს რისკებს საქონელი და მომსახურების მიღების დადასტურებასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით.

2.4 სამივლინებო დოკუმენტაციასა და აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებები

ქვეყნის გარეთ მივლინების პირველადი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ თანხის ფაქტობრივად გაცემისა და საავანსო ანგარიშის შედგენის თარიღი არ შეესაბამება ერთმანეთს. კერძოდ, თანხის წინასწარი გაცემის დროს არ ხდება საავანსო ანგარიშის შედგენა. საავანსო ანგარიშის გახსნის თარიღად ყოველთვის ფიქსირდება დასრულებული მივლინების შემდგომი პერიოდი. შესაბამისად,

⁸ წარმოადგენს „მოთხოვნების არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ჩამოწერის, კერძოდ, ბიუჯეტში თანხის აღდგენის შედეგად ხარჯებში ჩამოწერის თანხას.

⁹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 37, პუნქტები: 7, 8.

ბუღალტრულ მონაცემებში (მემორიალური ორდერებში) ანგარიშვალდებულ პირებზე მივლინებისათვის გაცემული (გაწერილი) თანხები და მემორიალურ ორდერებში ანგარიშის ნაშთის მოძრაობა არ ემთხვევა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ნაშთს. კერძოდ, საფინანსო სამსახურის მიერ არ მომხდარა ბუღალტრულ მონაცემებში, მემორიალურ ორდერებში და მთავარ წიგნში საავანსოდ გაცემული თანხების აღრიცხვა.¹⁰

ბუღალტრული მონაცემების ფინანსურ ანგარიშგებასთან შეუსაბამობა მიუთითებს საფინანსო სამსახურის მიერ ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოების არასათანადო კონტროლზე, რაც წარმოშობს ფინანსური ინფორმაციის არასწორად წარდგენის რისკებს.

2.5 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ხარვეზები

ავტოპარკის გამოყენების წესთან დაკავშირებით, უმაღლესი საბჭოს აპარატი ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილებებით¹¹. ასევე, უმაღლესი საბჭოს შიდა სამართლებრივი აქტით, რომლის მიხედვით თითოეული ტიპის ავტომობილებისთვის დაწესებულია საწვავის ლიმიტები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

1) უმაღლესი საბჭო იყენებს ავტომანქანის გამართვისა და იდენტიფიცირების სისტემას, ავტორიზებული ავტომობილის ავზზე მონტაჟდება სპეციალური „ჩიპი“ (მეხსიერების ბარათი), რომლის საშუალებითაც ხდება ავტომობილის იდენტიფიცირება ავტოგასამართ სადგურზე. საწვავის ყოველდღიური გამოყენების დამადასტურებელი ელექტრონული ტრანზაქციების დამუშავებით გამოვლინდა, რომ 2017 წლის 29 დეკემბერს უმაღლესი საბჭოს მიერ აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე გადაცემულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 2018 წლის პირველ იანვარს დაფიქსირდა უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი კომისიის მძღოლის მიერ საწვავის ჩასხმა (ჩასხმულია 79.00 ლარის ღირებულების 38 ლიტრი საწვავი). ავტომანქანის გადაცემის დროს, პასუხისმგებელი პირის მიერ სისტემაში უნდა მომხდარიყო აღნიშნულ ავტომანქანაზე დაყენებული საწვავის ჩიპის დაბლოკვა, რაც არ განხორციელდა;

2) საანგარიშგებო წლის ბოლოს უმაღლესი საბჭოს ბალანსზე ირიცხებოდა 13 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, 4 ერთეული – განპიროვნებული და 9 ერთეული – სამორიგეო ავტომანქანა. უმაღლესი საბჭოს საშტატო რიცხოვნობის (64 ერთეული) გათვალისწინებით, უნდა გამოყოფილიყო არა უმეტეს 3 (სამი) სამორიგეო ავტომანქანა;¹²

3) სამორიგეო ავტომანქანებით სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის

¹⁰ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 14, პუნქტი 28.

¹¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება; აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილება.

¹² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“, მუხლი 5, პუნქტი 1.

მიზნით, არ წარმოებდა ავტომატური წასვლა - მოსვლის აღრიცხვის ჟურნალი.¹³

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე არასათანადო კონტროლის ღონისძიებები ქმნის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისა და ავტომატური არაეფექტიანად გამოყენების რისკებს.

2.6 შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალი, სრულად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამუშაო დროის კონტროლს,¹⁴ რადგან ჟურნალში წარმოდგენილი მონაცემები შაბლონურია და მითითებულია ყველა თანამშრომლის მიერ სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან წასვლის ერთი და იგივე დრო – შინაგანაწესით განსაზღვრული სამსახურში გამოცხადების დრო: დილის 9:00 საათი და სამსახურის დასრულების დრო: საღამოს 18:00 საათი. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების გამო, თანამშრომლების მიერ წარმოდგენილია ახსნა-განმარტებითი ბარათი, თუმცა ჟურნალში არ ჩანს დაგვიანების არცერთი ფაქტი, რაც ერთმნიშვნელოვნად ჟურნალის წარმოების ფორმალურ ხასიათზე მიუთითებს.

თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის კონტროლის მნიშვნელოვან სისუსტეებზე წინა აუდიტის დროსაც აღინიშნა, თუმცა პრობლემის მოგვარების მიზნით, უმაღლესი საბჭოს აპარატს ქმედითი ღონისძიება არ განუხორციელებია. შესაბამისად, კონტროლის მექანიზმი ისევ არაეფექტიანად ფუნქციონირებს და ხელფასების გაცემის საფუძვლების უტყუარობის მნიშვნელოვან რისკებს წარმოშობს.

2.7 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები და შესრულდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ:

შესრულებული რეკომენდაციები

- 1) არასწორად გაანგარიშებული ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხები დაკორექტირდა და აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საწყის ნაშთებზე;

¹³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბერის დადგენილება N28 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომატური გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 2.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბერის №N449 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების შესახებ“ ფორმა N019; „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 30, პუნქტები: 14,15.

-)/ მატერიალური მარაგების მოძრაობა, რომელიც არ ფიქსირდებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში, გათვალისწინებულია და შესაბამისი კორექტირებებით შეტანილია ანგარიშგების დანართ ფორმებში;
-)/ ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლზე აღურიცხავი ამორტიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაცემულია აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე;
-)/ ზედმეტად ანაზღაურებული მივლინების თანხები დაბრუნებულია ბიუჯეტში პასუხისმგებელი პირის მიერ;
-)/ დანაკლისად აღრიცხული ცეცხლსასროლი იარაღის ღირებულება დაბრუნებულია ბიუჯეტში ანგარიშვალდებული პირის მიერ;
-)/ შვებულების დროს თანხების წინასწარი გაცემის შესაძლებლობა დარეგულირებულია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად;
-)/ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ექსპლუატაციაში არმყოფი აქტივები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერილია.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ არ იყო შესრულებული რიგი რეკომენდაციებისა და არ გამოსწორებულა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტისას.¹⁵ კერძოდ:

შესრულებელი რეკომენდაციები

-)/ კვლავ დაფიქსირდა ფაქტები, რომლითაც დასტურდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე კონტროლის მექანიზმების არაეფექტურობა;
-)/ არ იყო უზრუნველყოფილი თანამშრომელთა სამსახურში მოსვლა-წასვლაზე კონტროლის განხორციელების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებები;
-)/ არ იყო უზრუნველყოფილი ბალანსზე რიცხული სხვადასხვა დანაკლისებისა და უიმედო დებიტორული დავალიანებების სრულად აღმოფხვრის საკითხები.

¹⁵ სას-ის 2018 წლის 9 მარტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N24/36;

3. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ იძლევა გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე, ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ:

) ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა – უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

) შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

) ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

) დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ: არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამმართველოს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, უმაღლესი საბჭო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

) ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი და გვარი

მიხეილ გოდოლაძე

აუდიტორი

ნინო ბრეგვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა

.....




5. დანართები - უმაღლესი საბჭოს (01 01) ბალანსი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	გადასახადების სახაზინო ანგარიში	1291		
130	სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში	1292		
140	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
150	მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები	1321		
160	მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1322		
170	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
180	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
190	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
200	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
210	დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
220	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
230	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1356		
250	საშემოსავლო გადასახადი	1361		
260	მოგების გადასახადი	1362		
270	ქონების გადასახადი	1363		
280	დამატებული ღირებულების გადასახადი	1364		
290	აქციის გადასახადი	1365		
300	იმპორტის გადასახადი	1366		
310	სხვა გადასახადები	1367		
320	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1370		
330	მოთხოვნები ბარტერით	1410		
340	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		

350	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
360	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
370	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	16639.70	15437.70
380	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451		
390	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1452		
400	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1453		
410	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1454		
420	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461		
430	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462		2170.00
440	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463		
450	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		100.00
460	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1481		
470	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1482		
480	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1483		
490	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511		
500	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512		
510	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
520	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
530	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
540	სტრატეგიული მარაგები	1610		
550	ნედლეული და მასალები	1621		
560	დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	1622		
570	მზა პროდუქცია	1623		
580	შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონელი	1624		
590	ფულადი დოკუმენტები	1625		
600	სათადარიგო ნაწილები	1626		
610	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627		2744.84
620	საცხოვრებელი შენობები	2111		
630	არასაცხოვრებელი შენობები	2112	859304.76	850163.22
640	საგზაო მაგისტრალები	2113		
650	ქუჩები	2114		
660	გზები	2115		
670	ხიდები	2116		
680	გვირაბები	2117		
690	გაყვანილობის სისტემები	2118		
700	სხვა ნაგებობები	2119		
710	სატრანსპორტო საშუალებები	2121	221241.83	198208.38
720	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	17228.33	16540.73
730	კულტივირებული აქტივები	2131		

740	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	60.00	0
750	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	2140		
760	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141		
770	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		
780	ტექნიკა	2210		
790	ინვენტარი	2220		
800	მოწყობილობა	2230		
810	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240		
820	ძვირფასი ქვები და ლითონები	2310		
830	ხელოვნების ნიმუშები	2320		
840	სხვა ფასეულობები	2340		
850	მიწა	2410		
860	წიაღისეული	2420		
870	სხვა ბუნებრივი აქტივები	2430		
880	არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	2440		
890	ბალანსი		1114474.62	1085364.87

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
ვალდებულებები				
890	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110		
900	ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით, გარდა აქციებისა	3120		
910	მოკლევადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3131		
920	მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3132		
930	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	3140		
940	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3150		
950	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
960	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
970	ვალდებულებები ბარტერით	3230		
980	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
990	გადასახდელი დღგ	3242		
1000	გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	3243		
1010	სხვა გადასახდელები	3244		
1020	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	3245		
1030	გადასახდელი ქონების გადასახადი	3246		
1040	გადასახდელი აქციზი	3247		
1050	გადასახდელი იმპორტის გადასახადი	3248		

1060	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
1070	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
1080	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
1090	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
1100	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
1110	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
1120	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
1130	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
1140	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
1150	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
1160	ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3271		
1170	სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3272		
1180	სახელმწიფოს ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით	3273		
1190	დამქირავებლის ვალდებულება საპენსიო სქემაში შეტანით	3274		
1200	მომუშავეთა ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით	3275		
1210	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3281		
1220	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282		
1230	დარიცხული გადასახდელი რენტა	3283		
1240	დარიცხული გადასახდელი პროცენტები	3284		
1250	გადასახდელი დივიდენდები	3285		
1260	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286		
1270	გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3311		
1280	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312		
1290	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
1300	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
1310	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
1320	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
1330	წმინდა ღირებულება	5100	1114474.62	1085364.87
1340	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
1350	გაუნაწილებელი მოგება	5220		
1360	დაუფარავი ზარალი*	5230		
1370	ბალანსი		1114474.62	1085364.87

III. საცნობარო მუხლები				
1380	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01		
1390	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
1400	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	7408.54	6511.04
1410	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	3239.21	
1420	პირობითი აქტივები	05		
1430	პირობითი ვალდებულებები	06		
1440	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
1450	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	33463.93	33321.84
1460	ვადგადაცილებული დავალიანებები	09	982.00	982.00
1470	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	40342.78	47408.55
1480	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		
1490	საბანკო გარანტიები	12		

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38